

State Procurement Contract № *NAS/15/02/18*

*14*  
“ ” February, 2018

Tbilisi, Georgia

“Sakaeronavigatsia” Ltd., hereinafter referred to as “the Buyer”, with registered office at Tbilisi, Airport 0198, Georgia, represented by the General Director Mr. Gocha Mezvrishvili, acting on the basis of the Regulation on the one part And “SELEX ES” Inc. hereinafter referred to as “the Supplier”, with registered office at 11300 West 89<sup>th</sup> Street, Overland Park, Kansas 66214 USA Represented by the International Contracts Manager Ms. Terri Rieke, acting on the basis of the Regulations on the other part,

Now therefore, the parties agree as follows:

**Article 1. Subject matter of this contract**

1.1. The subject of the Contract is purchase of spare parts for ILS/DME and DVOR systems indicated in the table below (hereinafter referred to as the “Goods”):

| Item No.   | Description:   | Q-TY | Unit Price  | Total Price |
|--|--|------|-------------|-------------|
| 1  | 2  | 3    | 4           |             |
| 1  | NND-CCA, AUDIO GENERATOR W/SOFTWARE, PMDT, CVOR/DVOR | 1    | \$ 2,663.00 | \$ 2,663.00 |
| 2  | CCA, LOCAL CONTROL W/FIRMWARE, LOC/GS, MODEL 2100    | 1    | \$ 1,403.00 | \$ 1,403.00 |
| 3  | RF AMPLIFIER ASSY MODULATOR ASSY, 2100 LOC           | 2    | \$ 3,531.00 | \$ 7,062.00 |
| Delivery terms: CIP, Tbilisi International Airport, INCOTERMS 2010 |  |      |             | \$ 517.00   |
| <b>Total Price – \$ 11,645.00</b>                                  |  |      |             |             |

1.3. Mean of procurement: Simplified procurement, according to „Law on State Procurement” of Georgia, article 10<sup>1</sup>, point 3, sub-point „a”, SMP:180000346. The goods are intended for ILS 2100, DME 1118A & DVOR 1150 systems (Contracts NAS/38/02/2008 and NAS/37/02/2008). CPV Code: 32300000.

1.5. Resource Request application: 428-17.

## Article 2. Total Contract price

- 2.1. Total Contract Price is \$ 11,645.00 (Eleven thousand, Six Hundred and Forty-Five) US Dollars.
- 2.2. Total Contract price includes Supplier's all expenses related to fulfilment his obligations under present Contract, with following condition of delivery: CIP Tbilisi International Airport, INCOTERMS 2010.

## Article 3. Delivery and Acceptance rules

- 3.1 The Supplier undertakes obligation to deliver the goods through June 8, 2018.
- 3.2 The goods must be delivered according the following delivery terms: CIP Tbilisi International Airport (INCOTERMS 2010).
- 3.3 Delivered goods must be accompanied with following documents: packing List (indicating exact gross and net weights), Commercial Invoice and all the documents for customs clearance. The Supplier will send all this documents by e-mail after loading.
- 3.4 The goods shall be deemed delivered after signature of acceptance certificate by the authorized representatives of the parties.
- 3.5 The authorized person for signature of the Acceptance Certificate on behalf of the Buyer is: Mr. Tamaz Kachlishvili (Head of Navigation Department, +995 577 22 33 44, e-mail: [tamaz@airnav.ge](mailto:tamaz@airnav.ge)).

## Article 4. Terms of payment

- 4.1. Payment shall be made after goods are delivered on a phased basis. Payment shall be realized after each phase within 10 calendar days upon delivery, upon submission of original invoice and acceptance certificate signed from both sides. Payment shall be made to the Supplier's account, specified in Article 12 of this contract.
- 4.2. Payment currency: US Dollars.

## Article 5. Liability

- 5.1 The Supplier shall:
  - 5.1.1 Provide goods on a phased basis as stipulated in this Contract.
  - 5.1.2 Deliver goods free of any material or legal defects to the Buyer.
  - 5.1.3 If the Supplier fails to fulfil his obligation and breaks the term stipulated in this Contract (point 3.1) the Supplier shall pay penalties of 0.01 % of the total Contract price for each day of delay up to 5% of the total contract price.

**5.2 The Buyer shall:**

- 5.2.1 Effect the payment for as set herein.
- 5.2.2 The Buyer is authorized to claim compensation for damages caused by non-fulfillment or improper fulfillment of the obligations from the Supplier.
- 5.2.3 If the Supplier fails to fulfil his obligation and breaks the term for payment stipulated in this Contract (point 4.1) the Buyer shall pay penalties of 0.01 % of the total Contract price for each day of delay up to 5% of the total contract price.

**Article 6. Warranty**

- 6.1 The warranty period for the goods is 12 months from the date of Acceptance Certificate signature provided.
- 6.2 If within the abovementioned period the goods (its parts) are found damaged (low quality) and/or defective, Supplier shall be liable within a month after official written notice from the Buyer thereon repair/replace damaged/defective/low quality equipment (its parts) on its own account.
- 6.3 Delivery charges of damaged/defective/low quality goods (its parts) to the Supplier is Buyer's responsibility. Charges for sending repaired/replaced goods (its parts) shall be the Supplier's responsibility.

**Article 7. Packing**

- 7.1 The packing is included in the Contract Price. The Supplier has the obligation to pack the goods in appropriate packing according to the nature of the goods and mean of transport to insure the safety of the goods during the transportation. Case/parcel shall be clearly marked in visible place and contain the name and the address of the Client.
- 7.2 Supplier shall be fully responsible for any damages to the goods taken place as a result of improper packing.

---

**Article 8. Disputes**

- 8.1 Any dispute, arising at any time between the Parties, concerning the execution of or in connection with the Contract, shall be settled through a friendly consultation between both Parties. In the case where no settlement can be reached within a month, the dispute shall be considered at the Georgian court according to the legislation of the Georgia State.

## Article 9. Force Majeure

9.1 For the purpose of this contract "Force Majeure" shall mean: any future act and/or omission or each one of them, that prevents the contracting party from and of timely fulfillment of his obligation (in part or completely) according to this contract. In the event of Force Majeure event and/or events, the party so affected should notify advice the other party within 7 working days as of the date that the Force Majeure situation is being evident to the announcing party, by registered letter or by telefax. The case of Force Majeure as mention above, extend the obligation of both parties with the duration of the Force Majeure.

## Article 10. Control over the Fulfillment of the Contract

10.1 Control over fulfillment of the obligations under present Contract shall be provided by Mr. Tamaz Kachlishvili, Head of Navigation Department, who signing the present Contract declare that he is not in conflict of interests according to the requirements of Georgian State Procurement Legislation.

## Article 11. Miscellaneous

11.1 All taxes, duties and levies relating to this Contract shall be borne by each party on its territory.

11.2 This Contract shall become effective from the date indicated on the top of this Contract and shall remain in force until 31<sup>st</sup> of July, 2018, except article 6 -, „warranty" which will be in force until guarantee period expiration.

11.3 Any changes to the Contract are valid only when being made in written form upon mutual consent of the parties. The documents can be signed and transmitted by e-mails (scanned version) and in that case they have the validity of the originals, original documents to be transmitted afterwards.

11.4 Both of the sides are authorized to terminate this Contract, in case the other side does not fulfill his obligations under this Contract, about which the side terminating the Contract must inform the other side 10 calendar days earlier.

11.5 The obligation for imposed penalty does not release the party from fulfillment of its obligations or from eradication of violations.

11.6 The parties always have right to demand reimbursement of the damage imposed by improper fulfillment and/or failure of fulfillment of the terms and conditions of the contract in accordance with Georgian Legislation.

- 11.7 Any change to the contract shall not be made if it provokes increase of contract price or worsening of the contract provisions for the procurer, except for the cases defined in Article 398 of the Civil Code of Georgia. In case the conditions stipulated under article 398 of the Civil Code of Georgia occur it shall be inadmissible to increase the total value of the Contract by more than 10%.
- 11.8 The Contract is signed in two originals, in English, one for the Buyer and the other for the Supplier. Both of them have the same legal force.

**Article 12. Legal addresses and Bank Properties of the Parties**

The Buyer: "Sakaeronavigatsia" Ltd.,  
Address: 0198, Tbilisi, Georgia, Tbilisi International  
Airport  
Tel/Fax: +995 32 2744 227  
ID code: 208144051  
Bank props:  
BENEFICIARY BANK: TBC BANK, Tbilisi, Georgia  
SWIFT: TBCBGE22  
BENEFICIARY: SAKAERONAVIGATSIA L.T.D.  
Beneficiary's IBAN No: GE57TB7577636050100001

"The Supplier": "SELEX ES" Inc.  
11300 W. 89th Street  
Overland Park, KS 66214, U.S.A.  
Telephone: 913-495-6861  
Fax: 913-492-1187  
Bank Account No. 003476912059  
Bank of America: 100W. 33<sup>rd</sup> Street  
New York, NY 10001  
Bank Routing Number 026009593  
Swift Number BOFAUS3N.

The Buyer, signature

Gocha Mezvrishvili  
General Director  
"Sakaeronavigatsia" Ltd



*Terri Rieke*  
The Supplier, signature

Terri Rieke  
International Contracts Manager  
SELEX ES Inc

 **Selex ES**  
A Finmeccanica Company

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ნას/15/02/18

14 თებერვალი, 2018 წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ერთის მხრივ, შპს „საქაერონავიგაცია“, შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი 0198, აეროპორტი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი გოჩა მეზვრიშვილის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, და, მეორეს მხრივ, „SELEX ES“ Inc., შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“, რეგისტრირებული მისამართზე: აშშ, კანზასი 66214, ოვერლენდ პარკი, ვესტ 89-ე. ქუჩა 11300, წარმოდგენილი მისი საერთაშორისო ხელშეკრულებების მენეჯერი ქ-ნი ტერი რიეკის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებული ILS/DME და DVOR სისტემების შესყიდვა (შემდგომში წოდებული, როგორც „საქონელი“).

| პუნქტი  | აღწერილობა   | რაოდენობა | საცალო ღირებულება   | ჯამური ღირებულება   |
|---|--|-----------|---------------------|---------------------|
| 1   | 2  | 3         | 4                   |                     |
| 1   | NND-CCA, AUDIO GENERATOR W/SOFTWARE, PMDT, CVOR/DVOR | 1         | 2,663.00 აშშ დოლარი | 2,663.00 აშშ დოლარი |
| 2   | CCA, LOCAL CONTROL W/FIRMWARE, LOC/GS, MODEL 2100    | 1         | 1,403.00 აშშ დოლარი | 1,403.00 აშშ დოლარი |
| 3   | RF AMPLIFIER ASSY MODULATOR ASSY, 2100 LOC           | 2         | 3,531.00 აშშ დოლარი | 7,062.00 აშშ დოლარი |
| მიწოდების პირობები: CIP, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, INCOTERMS 2010: |  |           |                     | 517.00 აშშ დოლარი   |
| <b>ჯამური ღირებულება: 11,645.00 აშშ დოლარი</b>                            |  |           |                     |                     |

1.3. შესყიდვის შესაძლებლობა: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 10<sup>1</sup>, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“, SMP: 180000346, საქონელი გათვალისწინებულია ILS 2100, DME 1118A & DVOR 1150 სისტემებისთვის (ხელშეკრულებები № ნას/38/02/2008 და ნას/37/02/2008). CPV კოდი: 32300000.

1.5. რესურსის მოთხოვნის განაცხადი: 428-17.

მუხლი 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 11,645.00 (თერთმეტი ათას ექვსასორმოცდახუთ) აშშ დოლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულ

შესრულებასთან, მიწოდების შემდეგი პირობებით: CIP, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, INCOTERMS 2010.

### მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

- 3.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას 2018 წლის 8 ივნისის ჩათვლით.
- 3.2. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგი მიწოდების პირობების შესაბამისად: CIP, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (INCOTERMS 2010).
- 3.3. მიწოდებულ საქონელს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები: შეფუთვის ნუსხა (ზუსტი ბრუტო და ნეტო წონის მითითებით), კომერციული ინვოისი და განბაჟებისთვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია. მიმწოდებელმა უნდა გაგზავნოს ყოველგვარი დოკუმენტაცია ელექტრონული ფოსტით დატვირთვის შემდგომ.
- 3.4. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე.
- 3.5. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭებათ ბ-ნ. თამაზ ქაჩლიშვილს (სანავიგაციო სამსახურის უფროსი, ტელ.: +995 577 22 33 44, ელ-ფოსტა: [tamaz@airnav.ge](mailto:tamaz@airnav.ge)).

### მუხლი 4. ანგარიშსწორების პირობები

- 4.1. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს საქონლის მიწოდების შემდეგ, მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ორიგინალი ინვოისის წარდგენისა და ორივე მხარის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში გათვალისწინებულ მიმწოდებლის ანგარიშზე.
- 4.2. ანგარიშსწორების ვალუტა: აშშ დოლარი.

### მუხლი 5. ვალდებულებები

#### 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 5.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.1.2. უზრუნველყოს ყოველგვარი მატერიალური ან სამართლებრივი წუნისგან თავისუფალი საქონლის მიწოდება შემსყიდველის მიმართ.
- 5.1.3. თუ მიმწოდებელი ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას და დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას (პუნქტი 3.1), მას დაეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-მდე.

## 5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- 5.2.1. სისრულეში მოიყვანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება.
- 5.2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება იმ ზარალისთვის, რაც გამოწვეული იქნება მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით.
- 5.2.3. თუ მიმწოდებელი ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას და დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების ვადას (პუნქტი 4.1), მას დაეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-მდე.

## მუხლი 6. გარანტია

- 6.1. საქონლის საგარანტიო პერიოდი შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 თვეს.
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში, საქონელი (ან მისი ნაწილები) აღმოჩნდება წუნდებული (დაბალი ხარისხის), მიმწოდებელი პასუხს აგებს, შემსყიდველის მხრიდან ოფიციალური წერილობითი შეტყობინების მოწოდებიდან ერთი თვის განმავლობაში შეცვალოს დაზიანებული / წუნდებული / დაბალი ხარისხის საქონელი (მისი ნაწილები) საკუთარი ხარჯით.
- 6.3. მიმწოდებლის მიმართ დაზიანებული/წუნდებულ/დაბალი ხარისხის საქონლის (მისი ნაწილების) მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს. შეცვლილი საქონლის (მისი ნაწილების) გაგზავნის ხარჯზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

## მუხლი 7. შეფუთვა

- 7.1. შეფუთვა გათვალისწინებულია ხელშეკრულების ღირებულებაში. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის სათანადოდ შეფუთვა საქონლის მახასიათებლებისა და სატრანსპორტო საშუალების გათვალისწინებით, ტრანსპორტირების განმავლობაში საქონლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ყოველი კოლოფი/შეკვრა უნდა იყოს გარკვევით აღნიშნული თვალსაჩინო ადგილზე და ითვალისწინებდეს შემსყიდველის სახელსა და მისამართს.
- 7.2. მიმწოდებელი სრულად იქნება პასუხისმგებელი და საკუთარი ხარჯით აანაზღაურებს საქონლის არასათანადო შეფუთვის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ დაზიანებას.

## მუხლი 8. დავები

- 8.1. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული ერთი თვის განმავლობაში, დავა



განხილული იქნება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულები მიზნებისთვის, „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს: ნებისმიერ სამომავლო ქმედებას და/ან უმოქმედობას და/ან რომელიმე მათგანს, რომელიც ხელს უშლის მხარეს ვალდებულების (სრულად ან ნაწილობრივ) დროულად შესრულებაში წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში. ფორს-მაჟორული გარემოების და/ან გარემოებების შემთხვევაში, მხარე, რომელზეც მოქმედებს აღნიშნული გარემოებები, ვალდებულია 7 სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს მეორე მხარეს რეგისტრირებული წერილით ან ტელეფაქსით აღნიშნულის თაობაზე, მას შემდეგ, რაც მისთვის აშკარა გახდა ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ. ზემოთხსენებული ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა მხარეების ვალდებულების ვადას გააგრძელებს ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

#### მუხლი 10. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

10.1. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს სპეციალურად უფლებამოსილი პირი: ბ-ნი თამაზ ქაჩლიშვილი, სანავიგაციო სამსახურის უფროსი, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 11. სხვა პირობები

- 11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადასახდელის და საფასურის ანგარიშსწორებას უზრუნველყოფენ მხარეები მათ შესაბამის ტერიტორიებზე.
- 11.2. წინამდებარე ხელშეკრულება კანონიერ ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და ძალაში რჩება 2018 წლის 31 ივლისამდე, გარდა ხელშეკრულების მე-6 მუხლისა - „გარანტია“, რომელიც ძალაში რჩება საგარანტიო პერიოდის ამოწურვამდე.
- 11.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მოქმედად, თუკი იგი შესრულდება წერილობითი ფორმით და შეთანხმდება ორივე მხარის მიერ. შესაძლებელია დოკუმენტების ხელმოწერა და ფაქსით ან ელ-ფოსტით გადაცემა (სკანირებული ვერსია) და ამ შემთხვევაში მათ გააჩნიათ ორიგინალის ძალა, შემდგომში ორიგინალების გადაგზავნით.
- 11.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან

შესრულებას, რაზეც ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 კალენდარული დღით ადრე.

- 11.5. დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვალდებულება არ ათავისუფლებს მხარეს მისი ვალდებულებების შესრულების ან დარღვევის აღმოფხვრის მოვალეობისგან.
- 11.6. მხარეები ყოველთვის სარგებლობენ ხელშეკრულების პირობების არასათანადოდ შესრულებით და/ან შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 11.7. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ აღნიშნულის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 11.8. ხელშეკრულება ხელმოწერილია ორ ორიგინალ ეგზემპლარად, ინგლისურ ენაზე, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველისთვის და მეორე - მიმწოდებლისთვის. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## მუხლი 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი: შპს „საქაერონავიგაცია“  
მისამართი: 0198, თბილისი, საქართველო,  
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი  
ტელ./ფაქსი: +995 32 2744 227  
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051  
საბანკო რეკვიზიტები:  
ბენეფიციარი ბანკი: „თი-ბი-სი ბანკი“ თბილისი,  
საქართველო  
SWIFT: TBCBGE22  
ბენეფიციარი: შპს „საქაერონავიგაცია“  
ბენეფიციარის IBAN № GE57TB7577636050100001

მიმწოდებელი: “SELEX ES” Inc.  
მისამართი: აშშ, KS 66214, ოვერლენდ პარკი, ვესტ 89-ე  
ქუჩა 11300  
ტელ: 913-495-6861  
ფაქსი: 913-492-1187  
საბანკო ანგარიშის № 003476912059

Bank of America  
ნიუ-იორკი, NY 10001  
ვესტ 33-ე ქუჩა 100  
ბანკის ნომერი: 026009593  
SWIFT ნომერი: BOFAUS3N

შემსყიდველი, ხელმოწერა  
ხელმოწერილია  
გოჩა მეზვრიშვილი  
გენერალური დირექტორი  
შპს „საქაერონავიგაცია“  
ბეჭედდასმულია (საქართველოს საჰაერო ნავიგაცია.  
შპს „საქაერონავიგაცია“. 208144051)

მიმწოდებელი, ხელმოწერა  
ხელმოწერილია  
ტერი რიევი  
საერთაშორისო ხელშეკრულებების მენეჯერი  
შპს “SELEX ES” Inc.  
შტამპი

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.  
მთარგმნელი: ელმირა არუთინიანი

*ე. მირა არუთინიანი*



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N180693228



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

14.06.2018 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული  
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით ოყროშიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 995322745001

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

12437874963118



მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. # 22/4, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის ელმირა არუთინიანის (დაბ. 18.03.1982 წ., ქ. ჭიათურაში, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 84, ბინა 26, პირადი #54001007621) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე დოკუმენტის თარგმანზე, ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: სერტიფიკატი #4445, გაცემული 05.04.2012წ. International Hause Tbilisi-ს მიერ. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

საბლაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 2 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 0.36 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის ღირსი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



სამართლებრივი და სასაქონლო  
სამსახური



14.04.2018

1243787496318

